ხიშოლოგები

ეფესელთა სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№6 (24) ივნისი 2009 წელი



წმიდა მოციქული ხვიმონ კანანელი (I) ეფესელთა ეპისკოპოსი

ეპ. ნეოფიტურ კურირულის წმენდის დღე

26 მაისი, მცხეთის ქება

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

აფხაზეთის განსაკუთრებული მფარველი

მოციქული სვიმეონ მოშურნე-კანანელი (I) იესუ ქრისტეს უახლოეს ათორმეტთაგანი მოციქული იყო. იგი როგორც ვარაუდობენ მოშურნედ, ანუ კანანელად იწოდება მოციქულ სვიმეონ პეტრესაგან განსასხვავებლად. მოშურნეები ეწოდებოდათ ებრაელთა ერთ-ერთი სარწმუნოებრივი დაჯგუფების წევრებს და როგორც ჩანს, მოციქული სვიმეონი მათი წევრი იყო, ვინემ ქრისტეს შეუდგებოდა.

(არსებობს მოსაზრება, რომ იგი იყო კანას მკვიდრი და უფალმა იესუ ქრისტემ მის ქორწილში აღასრულა წყლის ღვინოდ ქცევის სასწაული, რის შემდეგაც სვიმეონმა მიატოვა საცოლე და გაჰყვა ქრისტეს. რაც ზოგი ვარაუდით არ შეესაბამება სიმართლეს, რამეთუ ამ შემთხვევაში ქორწილში უფლის სტუმრობა საიდუმლოს კურთხევად კი არ იქნებოდა საგულვებელი, არამედ პირიქით, — მისი აკრძალვისა და გაუქმების მომასწავებლად).

სულთმოფენობის დღეს სხვა მოციქულებთან ერთად სვიმეონზეც გარდმოვიდა სულიწმიდის მადლი. წმიდა მოციქული ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა იუდეაში, ეგვიპტეში, კირინეაში, ბრიტანეთში...

წმიდა სვიმეონმა წმიდა ანდრია პირველწოდებულთან ერთად იქადაგა დასავლეთ საქართველოში. წმიდა ანდრია შემდგომ სკვითთა ქვეყანაში გადავიდა, სვიმეონი კი აფხაზეთში დარჩა წარმართთა მოსაქცევად.

წარმართებმა წმიდა სვიმეონი ქვებით ჩაქოლეს. დაკრძალულია ანაკოფიაში, სოხუმთან ახლოს. შემდგომში სვიმეონ კანანელის საფლავზე, ახალი ათონის მთაზე, მონასტერი აღიმართა. დღემდე შემორჩენილია მღვიმე, სადაც წმიდა მოციქული მოღვაწეობდა.

„წმიდათა ცხოვრება“, წიგნი I, თბილისი, 2008.

2009 წლის 23 მაისს, მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, სამების საკათედრო ტაძარში ლოცვა აღავლინა **ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა (დათუაშვილმა).**

გთავაზობთ ქადაგებას:

„დღეს ჩვენ ვიხსენებთ სვიმონ კანანელს. მას ასევე ეწოდება სვიმონ მოშურნე. ეს მოციქული ანდრია პირველწოდებულსა და მატათასთან ერთად მოგზაურობდა საქართველოში. აფხაზეთში მან მიიღო მოწამეობრივი აღსასრული და დაკრძალულია ახალ ათონში. 12 მოციქულთაგან 2 საქართველოს მიწაზე დაიკრძალა — სვიმონ კანანელი და მოციქული მატათა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლის დიდი მადლი, უფლის დიდი წყალობა არის ჩვენს ქვეყანაზე. და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მოციქულთა ლოცვით უფალი აღადგენს საქართველოს მთლიანობას, აღადგენს მშვიდობას აფხაზეთში, სამაჩაბლოში. გაამთლიანებს და სულიერად ააღორძინებს და გააბრწყინებს სრულიად საქართველოს. დღეს ჩვენ ყველამ ერთად კიდევ ერთხელ თაყვანი უნდა ვცეთ ჩვენს დიდ მფარველს, მოციქულ სვიმონ კანანელს და ვევედროთ საქართველოს მშვიდობისა და გამთლიანებისათვის...

აფხაზეთის განსაკუთრებული მფარველია სვიმონ კანანელი. მოციქულს დიდი ძალა აქვს. მის ლოცვას შეუძლია განდევნოს აფხაზეთის მიწიდან ყოველი ხილული და უხილავი ბოროტი ძალა, დაარღვიოს მათი მანქანება, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჩვენი მზადყოფნა. როგორც მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის სააღდგომო ეპისტოლეში ბრძანებს, ჩვენ ზეცაში გვყავს ძალიან დიდი მფარველები. ღვთისმშობლის შემდეგ უდიდესია მოციქულთა შუამდგომლობა და ჩვენს ზეციურ მფარველებს ძალუძთ საქართველოს გამთლიანება, მაგრამ უწმიდესი აღნიშნავს ასევე ეპისტოლეში, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ მათი მფარველობა, მხოლოდ მათი მეოხება. უფალი თავის ზეციურ ძალებთან და წმინდა ანგელოზებთან ერთად მუდამ მზად არის დაეხმაროს ყოველ ადამიანს, ყოველ ერს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ მზად ამისთვის. აი სწორედ ჩვენს ნაბიჯს ელოდება უფალი და აი ამ ნაბიჯს, როგორც სააღდგომო ეპისტოლეში ხაზს უსვამს მისი უწმიდესობა, ეწოდება სწორი ცხოვრება, რაც არ არის ადვილი, მითუმეტეს, თუ ჩვენ გავიხსენებთ, როგორი რთული იყო ჩვენი ბოლო საუკუნეები და განსაკუთრებით XX საუკუნე. ბევრმა ჩვენგანმა, უმრავლესობამ, დაივიწყა ის წესი და ტრადიცია, რომლითაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და იცავდნენ თავს ბოროტი ძალებისაგან.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ათხზეთის განსაკუთრებული მეოთხე

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ამ ტრადიციას ჰქვია კავშირი უფალთან, კავშირი სულიწმიდის მადლთან. ბოროტებას მხოლოდ ღვთის ძალა, მხოლოდ ღვთის მადლი ამარცხებს. და ამიტომ გაუძლო და მოვიდა საქართველო დღემდე, რადგანაც ღვთის მადლი უხვად იყო მასში. სწორედ ღვთის მადლი გაამთლიანებს საქართველოს, ღვთის მადლი დაგვაბრუნებს აფხაზეთში და სამაჩაბლოში და დღევანდელი ლოცვაც იმისკენ იყო მიმართული, რომ უფალმა მოგვანიჭოს უნარი, რომ ჩვენც, ყოველი ჩვენგანი, ჩვენი წინაპრების მსგავსად, ვიყოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომ გავხდეთ ტაძარი ღვთისა, რომ გავხდეთ ჭურჭელი სულისა წმიდისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიძლევა ბოროტება, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოჩნდება ძალა ღვთისა და აი ეს არის ბიბლიური ისტორიის მთავარი აზრი. უფალი გვეუბნება: „მოიქეცით ჩემკენ და მოვიქცევი თქვენკენ“. დღეს ქართველი ერი, ღვთის წყალობით, პატრიარქის წინამძღოლობით უბრუნდება ჭეშმარიტ გზას, წინაპართა გზას. მაგრამ, რამდენიმე დღის წინ მისმა უწმიდესობამ ბრძანა, რომ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჯერ კიდევ ჩვენი სულიერი ძალები ძალიან სუსტია. მან ბრძანა, რომ ის, რაც ხდება საქართველოში, ეს არის სიყვარულის ნაკლებობის შედეგი. ანუ ჯერ ჩვენ გვიჭირს დავძლიოთ შინაგანი წინააღმდეგობანი, მივაღწიოთ ურთიერთგაგებას, ვიყოთ ერთსულოვანნი. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს ერს სჭირდება სულიერი განმტკიცება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვითხოვთ ღვთისაგან, ღვთისმშობლისაგან და მოციქულებისაგან, რომ მოგვანიჭოს მტკიცე და შეუორგულებელი სარწმუნოება, რათა აღვივსოთ ღვთის ძალით და მადლით და ვძლიოთ ყოველგვარ ბოროტებას როგორც ჩვენს საკუთარ თავში, ასევე ჩვენს გარეთ.

მე მინდა გავიხსენო ერთი საოცარი ისტორია წმიდა გიორგის ცხოვრებიდან. ჩვენ უფრო მეტად ვიხსენებთ იმას, თუ როგორ იყო ჯვარზე გაკრული წმ. გიორგი, როგორ დაატრიალეს ბორბალზე და მრავალი წამება გამოიარა მან, მაგრამ ბევრს, შეიძლება, კარგად არც ახსოვს და არც იცის, რომ ერთ-ერთი ბოლო სასწაული, რომელიც მოახდინა წმ. გიორგიმ, ეს იყო სასწაული კერპების შემუსრვისა. როდესაც გავიდა სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც აწამებდნენ წმ. გიორგის და ვერაფრით ვერ შეარყიეს მისი სული, იგი მტკიცე იყო თავის მრწამსში, მოულოდნელად წმ. გიორგიმ გამოუცხადა იმპერატორ დიოკლიტიანეს, რომ მას სურს მივიდეს საკერპო ბომონში, იქ, სადაც კერპებს მსხვერპლს სწირავენ. დიოკლიტიანემ იფიქრა, რომ, ალბათ, შედრკა წმ. გიორგი და უნდა, რომ კერპებს თაყვანი სცეს და უარყოს მაცხოვარი. და როდესაც ის მიიყვანეს საკერპო ბომონში, წმ. გიორგიმ მიმართა კერპებში ჩასახლებულ ბოროტ სულებს და უთხრა: „როგორ ბედავთ, იყოთ აქ, ამ შენობაში მაშინ, როდესაც მე შემოვდგი ფეხი ღმერთის, ჭეშმარიტი ღმერთის მსახურმა“. და აი ამ სიტყვების თქმა და კერპების და ბომონების მსხვრევა ერთი და იგივე იყო. და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მან კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ბოროტებაზე, გაიმარჯვა კერპებზე. და როგორ შესძლო წმ. გიორგიმ შემუსრვა კერპებისა, როგორ დაამსხვრია მან კერპები მხოლოდ საკუთარ თავზე გამარჯვებით? უპირველეს ყოვლისა, მან დაარღვია უხილავი კერპი საკუთარ თავში და მაშინ დაიძლია ხილული კერპები. აი ასევე, როგორც კი ქართველი ერი თავისი პატრიარქის წინამძღოლობით სულიერად ამაღლდება და საკუთარ თავში დაარღვევს აღმართულ კერპებს, ბორკილებს, რომლითაც მიჯაჭვულია ყოველი ჩვენგანი, მაშინ დაირღვევა ეშმაკის მანქანება და გამთლიანდება საქართველო. დავბრუნდებით აფხაზეთში და იქნება მშვიდობა და იქნება სიყვარული. და ეს აუცილებლად იქნება. და რაც უფრო მალე მივუახლოვდებით ჩვენ უფალს, მით უფრო მალე მოხდება ეს დიდებული დღე. მაგრამ ეს დღე აუცილებლად დადგება და ვევედროთ უფალს, რომ რაც შეიძლება, მალე დადგეს. ღმერთმა ინებოს, რომ სვიმონ კანანელის დღესასწაული ჩვენ გვეზეიმოს რაც შეიძლება მალე სოხუმში, ახალ ათონში და აფხაზეთში. და მე ვფიქრობ, მომავალ წელს ჩვენ განსაკუთრებით უნდა მოვემზადოთ ჩვენი აფხაზეთის დიდი მფარველის სვიმონ კანანელის დღისათვის და რომ სრულიად საქართველომ ღირსეული პატივი მიაგოს ამ დიდ წმინდანს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ დღეს. ასევე, თქვენ იცით, რომ 28-ში არის ამაღლება და ვიდრე ამაღლებამდე ჩვენ ვზეიმობთ აღდგომას, უფლის ბრწყინვალე აღდგომას. უფლის ძალით და მადლით გვეზეიმოს აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღდგომა.

ქრისტე აღდგა!

იცოცხლეთ და იზეიმეთ მრავალსა წელსა მრავალჟამიერ!“

სულის საგალობელი

ასე განსაზღვრეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მესვეურებმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გამართული კონცერტის სახელწოდება, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის სანუკვარი თარიღის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნის წინა დღეს შედგა. კონცერტის მრავალწახნაგოვან პროგრამას ამაღლებული განცდა ამთლიანებდა. აკადემიურობა და შთაგონება გამოარჩევდა თითოეულ მათგანს, იქნებოდა ეს ანსამბლური თუ ინდივიდუალური შესრულება.

საღამოს გახსნის პატივი წილად ხვდა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნანინას“, რომელმაც კამერტონის ფუნქცია იტვირთა. კეთილხმოვანება და ანსამბლურობის ფაქიზი შეგრძნება ახასიათებდა მათ მიერ სცენიდან აჟღერებულ ნაწარმოებებს: „დიდება ღმერთს“ და აფხაზურ სიმღერას „გმირ სალუმანზე“.

ღრმა მუსიკალურობითა და იტალიური ბელკანტოს სურნელებით იყო გაჟღენთილი ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მე-4 კურსის სტუდენტის არჩილ გოგიტიძის (კონცერტმაისტერი ლელა უსეინაშვილი) მიერ ნამღერი სკარლატის „SENTO NEL CORE“. ასევე სიმღერის გულშიჩამწვდომი მანერით, სუფთა ინტონაციებით, რბილი და თბილი ხმის ლამაზი ტემბრით მოგვხიბლა კონსერვატორიის მე-2 კურსის სტუდენტმა მარიამ როინიშვილმა, რომელმაც თანხლების გარეშე შეასრულა ქართული ხალხური „ურმული“.

ჩინებული სასცენო გარეგნობითა და ობერტონებით მდიდარი, ძლიერი მეცო-სოპრანოთი მსმენელის ყურადღება მიიპყრო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა სოლისტმა ირინე ალექსიძემ. თამარ მეფის კავატინას დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ყველა ქართველი მეცო-სოპრანოს რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი. ირინე ალექსიძის ინტერპრეტაციაში (კონცერტმაისტერი ქეთევან გელაშვილი) ორი საპირისპირო განცდის — ქალურობისა და სიმტკიცის სინთეზი იყო ხაზგასმული.

დამაჯერებლად, შთაგონებული გაზრებით ააჟღერა ოთარ თაქთაქიშვილის „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“ (ტექსტი ირაკლი აბაშიძისა), ორატორიიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტმა ლეგი იმედაშვილმა. მისასალმებელია, რომ მომღერალი თანაბარ ყურადღებას უთმობს როგორც საოპერო, ასევე კამერულ ნაწარმოებებზე მუშაობას. ამ მიმართულებებით მიღწეულ წარმატებას, მასთან ერთად, იზიარებს კონცერტმაისტერი მარინე ჭანიშვილი.

ამგვარი სახის საღამო-კონცერტებს გარკვეულ რეიტინგს მატებს ხოლმე ისეთი კლასის ოსტატის მონაწილეობა, როგორიც საქართველოს სახალხო არტისტი ელდარ გეწაძეა. მას არაერთი პარტია თუ ვოკალური ნაწარმოები აქვს მომზადებული უშუალოდ კომპოზიტორებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით. ერთ-ერთი ასეთთაგანია ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. მსმენელს უთუოდ დიდხანს გაჰყვება ემოციური მუხტით შესრულებული ურთულესი რომანსი „ჩემი ლოცვა“ ამ ციკლიდან. მომღერალს აკომპანიმენტს უწევდა მისი უცვლელი პარტნიორი, ცნობილი კონცერტმაისტერი დარეჯან მახაშვილი.

ლირიზმი და უშუალობა ახლდა სოფიკო და ანა ცარციძეების (კონცერტმაისტერი ნინო ლეჟავა) გამოსვლას. ამ თანხმიერმა დუეტმა მერაბ მერაბიშვილის სევდითა და სიყვარულით გამსჭვალული ნაწარმოები „აფხაზეთო, მენატრები“ შეასრულა. ამავე კომპოზიტორის „პაემანი აფხაზეთში“ ააჟღერა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სიმებიანმა ანსამბლმა ელენე ცარციძის ხელმძღვანელობით.

აუდიტორიის საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა თამარ ლიჩელმა. იგი პირველი ქართველი პიანისტის ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესების: „აღმოსავლური მელოდია“, „ლეკური“ და „ მაზურკა-ფანტაზია“ პირველ შემსრულებლად მოგვევლინა. ალოიზ მიზანდარს, როგორც კომპოზიტორს, მსმენელი ნაკლებად იცნობს. იგი, როგორც პიანისტი, ევროპის ქვეყნებშიც გამოდიოდა კონცერტებით; მისი სახელი უკავშირდება, აგრეთვე, პირველი უფასო სამუსიკო სკოლის დაარსებას თბილისში. იყო ჩინებული პედაგოგი. მის მოწაფეთაგან გამოირჩეოდა ანა თულაშვილი, რომლის სკოლის წარმომადგენელია ჩვენი თანამედროვე დიდოსტატი თენგიზ ამირეჯიბი. ამირეჯიბის მრავალ საუკეთესო მოწაფეთაგან უნდა გამოვარჩიოთ თამარ ლიჩელი, რომელმაც თავისი სასიქადულო წინაპრის ალოიზ მიზანდარის ტრადიციისადმი ერთგულების ნიშნად, საზოგადოებას გააცნო საფორტეპიანო პიესების მისეული მეტად საინტერესო გააზრება.

(გაგრძელება მე-6 გვ.)

სულის საგალობელი

(დასაწყისი მე-5 გვ.)

მსმენელმა კიდევ ერთხელ გამოხატა თაყვანისცემა და აღფრთოვანება ქართული ხალხური-საკრავიერი მუსიკის მიმართ. ანსამბლმა „ურმულმა“ დავით ქავთარაძის ხელმძღვანელობით ხალხური სიმღერების პოპური წარმოგვიდგინა.

კონცერტის მრავალწახნაგოვნება დიდად განაპირობეს მხატვრული კითხვის ოსტატებმა, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრის მსახიობებმა — ნინო კობერიძემ და მურმან ჯინორიამ. ირაკლი აბაშიძის უკვდავი ციკლის „პალესტინა, პალესტინა“ ერთ-ერთი შედევრი — „თამარ გოდებავ“ ნინო კობერიძემ მკერდისმიერი, დაბალი რეგისტრიდან ამომავალი ხმით გაამძაფრა და განსაკუთრებით ხელშესახები გახადა პოეტური ხედვით გაჯერებული სტრიქონები და ლეგენდარული თამარის ღვთაებრივი სახე განაზოგადა.

მურმან ჯინორიას მიერ ჩვეული არტისტიზმითა და აღმაფრენით წაკითხული პოეზიის მარგალიტები — ტიციან ტაბიძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძისა და ილია ჭავჭავაძის ოქროს ფონდიდან, კონცერტის დამაგვირგვინებელი აკორდი გახდა.

საღამოს დასასრულს ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ განსაკუთრებული მადლიერების სიტყვებით მიმართა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელს (დათუაშვილს), სულიერ მოძღვარს, რომელიც აფხაზეთიდან მოყოლებული თანადგომას, მორალურ მხარდაჭერას არ აკლებს დევნილებს და თავისი ყოველდღიური ქმედებით სიმხნევესა და რწმენას ჰმატებს მათ.

სწორედ მეუფე დანიელის ასეთმა დამოკიდებულებამ თავისი მრევლის მიმართ, მისადმი ასეთმა განუხრელმა ყურადღებამ და სითბომ გადააწყვეტინა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს შეექმნა საკონცერტო პროგრამა, რომელსაც „სულის საგალობელი“ ეწოდა.

ვაჟა ძიგუა
თეატრმცოდნე,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ისტორიული დღე

7 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მობრძანდა. პატრიარქთან ერთად უნივერსიტეტში მობრძანდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი (დათუაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე (შარაშენიძე), ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მეუფე პეტრე (ცაავა), სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (ელიზბარ მუჯირი), ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა (გუნია) და მონოზონი ელენე (ნაფეტვარიძე).

უნივერსიტეტს ასევე ესტუმრნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, აფხაზეთის განათლების მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა.

პატრიარქმა დალოცა უნივერსიტეტი, შეხვდა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

„ეს დღე სოხუმის უნივერსიტეტისათვის ისტორიულია. მე მინდა უნივერსიტეტს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმიდა გიორგის ოქროს ორდენი გადავცე. არც ერთი საერო და სასულიერო სასწავლებელი ამ ორდენით არ არის დაჯილდოვებული. ამ ორდენის ტარების უფლება მხოლოდ რექტორს ექნება და უნივერსიტეტის ყოველ მომდევნო ხელმძღვანელს გადაეცემა. ჩემი სურვილია, რომ დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი წმიდა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართოს“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა. ილია მეორემ უნივერსიტეტს მარიამ ღვთისმშობლის ხატი (სამხელიანი ღვთისმშობელი) უსახსოვრა, რომელიც გაერთიანებისა და გამთლიანების სიმბოლოა.

მეუფე დანიელმა პატრიარქის სტუმრობის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

— დღეს არის უმნიშვნელოვანესი დღე სოხუმის უნივერსიტეტისათვის. 20 წელი სრულდება მისი დაარსებიდან. მაშინ იგი დაარსდა როგორც ფილიალი და ამ თარიღს დღეს ეს უნივერსიტეტი ხვდება, როგორც დამოუკიდებელი... მაშინ, როდესაც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მას მოუწია არსებობა იმ პირობებში,

(გაგრძელება მე-7 გვ.)

ისტორიული დღე

(დასაწყისი მე-6 გვ.)

როდესაც იდევნებოდა ეკლესია, იდევნებოდა ქრისტიანული სარწმუნოება და უნივერსიტეტმა შეითავსა მეცნიერებისა და სულიერების ფუნქცია. იგი იყო ასევე ტაძარი სულიერებისა და სწორედ უნივერსიტეტმა შეუნარჩუნა ქართველ ერს ქრისტიანული ცნობიერება, ეროვნული ცნობიერება. და როდესაც სოხუმის უნივერსიტეტი გახდა მემკვიდრე, შვილობილი ამ დიდი ტრადიციების უნივერსიტეტისა, სწორედ ქართულმა სულმა იმძლავრა აფხაზეთში და ეს იყო ის ძალა, რომელმაც ქართული თვითშეგნება, ეროვნული თვითშეგნება განამტკიცა იქ იმისთვის, როგორც აქ ითქვა, რომ ჩვენ არ დაგვეთმო ჩვენი მეობა, ჩვენი თვითმყოფადობა. მართალია, ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი, მაგრამ არ დავკარგეთ ჩვენი მეობა. და თუ ადამიანი და ერი არ დაკარგავს თავის თვითმყოფადობას, იგი აუცილებლად დაიბრუნებს თავის მიწა-წყალს. იგი ღირსია, რომ დაბრუნდეს თავის მიწა-წყალზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ პატრიარქს მობრძანებისათვის მადლობა მოახსენა და საჩუქრად წმ. გიორგის ხატი და შანდალი მიართვა.

17 მაისს სამების საკათედრო ტაძარში სოხუმის უნივერსიტეტის ორდენით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით პატრიარქის რეზიდენციაში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი.

— ჩვენ ამ ჯილდოს — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯონი აფაქიძემ, — განვიხილავთ, როგორც იმ დიდი ამაგის დაფასებას, რომელიც უნივერსიტეტმა გაწია ამ ბოლო წლების განმავლობაში. ვფიქრობთ, რომ ეს დაჯილდოვება ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობის განმტკიცებას მომავალში.

სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას კათოლიკოს-პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ აფხაზები და ქართველები კვლავ ერთად იქნებიან:

— მხოლოდ საქართველოსთან ყოფნა გადაარჩენს აფხაზურ კულტურას და ენას.

ცერემონიალის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელსაც პატრიარქის კურთხევით უძღვებოდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, მუსიკათმცოდნე სვეტლანა ქეცბა. კონცერტში მონაწილეობდნენ: სიმებიანი კვარტეტი, შემსრულებლები: ზურაბ ანჯაფარიძე, დავით ჭყონია, თემურ გუგუშვილი, ირინე რატიანი, ანა ღლიღვაშვილი; კონცერტმაისტერები — მაია ბედიაშვილი, ვიქტორია ჩაპლინსკაია, ლელა უსეინაშვილი.

— ვფიქრობ, ჩვენს ზეიმს გავაგრძელებთ აფხაზეთში, — ბრძანა მიღებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II.

ჩვენებუჩები

სოხუმის თეატრი სოჭში

გასულ თვეში კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სოჭში მაყურებელს წარუდგინა გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“ (რეჟისორი თემურ ჩხეიძე). სპექტაკლს, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ასახავს, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დამსწრეთა შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე აფხაზები და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რომლებშიც სცენაზე განვითარებულმა მოვლენებმა ღრმა ემოციები აღძრეს. გავესაუბრეთ სოჭის შეხვედრის მონაწილეს ბატონ თემურ შაშიაშვილს:

— ბატონო თემურ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ დაესწარით სოხუმის თეატრის სპექტაკლს სოჭში და მრავალი გამოხმაურებაც მოისმინეთ მასთან დაკავშირებით.

— ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა სოხუმის დრამატული თეატრისადმი. ეს ტრადიციულად ქუთაისისა და სოხუმის მეგობრობიდან მოდიოდა. მერე, მახსოვს, როცა გოგი ქავთარაძის საკითხი წყდებოდა სოხუმის დრამატული თეატრის ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე, რამდენჯერმე ვიყავი სტუმრად. როდესაც მძიმე დღეები ჰქონდა სოხუმს, მაშინაც ვიყავი მათთან და ვიყავი სოხუმის ქართულ თეატრში, დავათვალიერე, მხარი დავუჭირე. დღემდე განვიცდი იმ მდგომარეობას, რომელშიც ეს მართლაც უაღრესად საინტერესო შემოქმედებითი ჯგუფი აღმოჩნდა საქართველოში მომხდარი ამბების გამო და ძალიან ვწუხვარ, რომ მან ისეთი მხარდაჭერა ვერ მიიღო თბილისში, როგორიც ეკუთვნოდა მართლაც გამორჩეულ და ასეთი დიდი ბიოგრაფიის და პოტენციალის მქონე თეატრს. ახლა რაც შეეხება სოჭს: თავისთავად ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოჭში სოხუმის ქართული თეატრის ჩასვლას. ამას არა მარტო ქართველები გრძნობდნენ, არამედ სხვებიც. დარბაზში 18 ეროვნების წარმომადგენელზე მეტი იყო და მოხდა უნიკალური რამ — არასტანდარტულ ადგილზე, მაგრამ ბუნებრივ ვითარებაში შედგა სპექტაკლი და ამ სპექტაკლს, საეჭვოა, დასწრებოდა სხვაგან ამდენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი და ასეთი პროფესიითაც ჭრელი, მრავალფეროვანი საზოგადოება, მაგრამ უაღრესად საინტერესო. ჩემ გვერდით იჯდა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ივანიცკი და ამ ადამიანმა იტირა ისე, რომ მე გაოცებული დავრჩი. იცით, რომ სპექტაკლი ძირითადად რუსულად მიდის და იყო რაღაც საოცარი ემოცია თეატრში მთლიანად სპექტაკლის მსვლელობის დროს, არა მგონია, იმ 300-400 ადამიანიდან, რომლებიც ესწრებოდნენ, ერთიც კი დარჩენილიყო დარბაზში, ვინც ამას ცრემლით და გულისტკივილით არ შეხვდა. ეს იყო ის, თავისთავად, რაც მოხდა, მაგრამ როგორ მიაწოდა თეატრმა, შემოქმედებითი პოტენციალის როგორი დონით მიაწოდა — ეს იყო საუცხოო. მე მესამედ ვუყურე მაშინ ამ სპექტაკლს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ალბათ, სცენა და მაყურებელი ისე ვიყავით გაერთიანებული და გარემოც ისე სხვა იყო, ასე მგონია, რომ სრულიად სხვა მასშტაბით, სხვა სიმაღლეზე ითამაშეს ეს სპექტაკლი, რომ ყველა მსახიობი ჰაეროვანი იყო და ამავე დროს უაღრესად მიწიერი, ბუნებრივი. სპექტაკლი შესრულდა განსაკუთრებული სიყვარულით. დიმა ჯაიანმა დაიმსახურა უდიდესი მხარდაჭერა, პატივისცემა. მთელმა თეატრმა, ყველა შემსრულებელმა. ეს იყო თეატრისათვის უფრო სხვა განზომილება და რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, დიდხანს აღარ დაიშალა აუდიტორია, გაგრძელდა საუბარი ამ ისტორიაზე, ამ ბიოგრაფიაზე, ამ ჩვენს დიდ მეგობრობაზე, დიდ სიყვარულზე, ქართველი და აფხაზი ხალხის დიდ სიყვარულსა და მეგობრობაზე, რომელიც სპექტაკლშია და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რუსები ამას უყურებდნენ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ისინი გარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ამ უბედურების გამო. სახეებზეც ეწერათ, რომ უჭირდათ რაიმეს თქმა, მაგრამ არ ეთქვათ, ესეც არ შეიძლებოდა.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

სოხუმის თეატრი ცოჯში

(დასაწყისი მე-7 გვ.)

ჩუმად არავინ წასულა და რაღაც თავდახრილებიც იდგნენ, ვინც იქ თავდახრილი იდგა, თავდახრის მიზეზი იყო შემოქმედებაც, რასაკვირველია, მაგრამ უფრო ისტორია და პასუხისმგებლობა ყოველივე ამის წინაშე. ამ სპექტაკლმა შეძრა იქ ადამიანები. იყვნენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნებიდან. სპექტაკლი ნახა ქართველმაც, ოსმაც აფხაზმაც, სომეხმაც, აზერბაიჯანელმაც, ებრაელმა, რუსმა, უკრაინელმა. ძალიან დიდი იყო ეროვნული შემადგენლობა და ამ სპექტაკლმა ყველა სერიოზულად ჩააფიქრა. ეს ის სპექტაკლია, რომელიც, რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს, საქართველოშიც უნდა ნახონ ყველგან, აფხაზეთშიც უნდა ნახონ ყველგან, ეს უნდა ნახონ რუსეთშიც, მაგრამ ნახონ არა მარტო როგორც შემოქმედება, არამედ როგორც დიდი ტკივილი, რომელიც გასცდა ერთი სახელმწიფოს, ერთი და ორი ერის მასშტაბებს და მიიღო სრულად სხვა სიმაღლე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ერთ სპეკტაკლს, როგორც წყლის ერთ წვეთს, შეუძლია დაგვანახოს მთელი მსოფლიო თავისი სიჭრელეებით, თავისი სირთულეებით. რა შეიძლება მოჰყვეს ერთ პატარა კონფლიქტს და როგორი სიყვარულია უკონფლიქტო დღეებისადმი. სპექტაკლის მსვლელობისას და მას შემდეგაც იყო ერთ რამეზე საუბარი: რა კარგი იყო, რომ ერთად ვიყავით, რა კარგი იყო, რომ სიცილი გვქონდა სახეზე, იმდენჯერ ათქმევინა მაყურებელს სპექტაკლმა „რა კარგი იყო“, რომ ეს უნდა გახდეს ძალის მომცემი, რომ მომავალშიც კარგი იყოს. ასე დავინახე მე ეს სპექტაკლი.

— აფხაზებიც ესწრებოდნენ ამ სპექტაკლს?

— რა თქმა უნდა და არა ერთი და ორი. მე ძალიან გამიხარდა, როდესაც მოვიდა ჩემთან სამი პიროვნება, რომელთაგან 2 აფხაზი იყო, როგორც თვითონ მითხრეს, სოხუმელი აფხაზები, მომიტანეს სურათები, როგორი საზღვარი გადის აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის და მითხრეს, რომ ეს საზღვარი არის XXI საუკუნის „ჩინური კედელი“. თუ ეს შედგა, მერე ძალიან ძნელი იქნება, ვილაპარაკოთ საქართველოს ერთიანობაზეო. მე ძალიან დამამძიმა მათმა ნათქვამმა და ძალიან დამამძიმა ერთ-ერთი აფხაზის ნათქვამმა, რომ „თქვენ ნუ გგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებას მარტო რუსეთის ხელისუფლება არ ელაპარაკება. არც აფხაზი ხალხი დაელაპარაკებაო“. არ მინდა პოლიტიკაში გადავიტანო, მაგრამ ძალიან მტკივა გული იმის გამო, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება სხვაგან, გარდა თბილისისა და სოხუმისა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, დაელაპარაკება თუ არა მას აფხაზი, რომ ის თვლის, თუ სხვაგან გადაწყდა, ეს ასე იქნება. თავისთავად ეს მიმაჩნია შეცდომად.

„ჭირჯელად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ქართული პოეზიის მარგალიტები

ირაკლი აგაშიძე – 100

ხმა ზეთისხილის ბაღში

— სხვა რამ არ მწამდა,
სამშობლოზე წმიდათა წმიდა,
შემინდე, ღმერთო,
მამულიშვილის ყოვლის დათმობა;
მნათობი შენი
საქართველოს მწამდა მნათობად,
თოვდა თუ წვიმდა -
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.
ო, ბალესტინავ,
ბალესტინავ!
ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენის
სიტკვის, ცხოვლისა,
მაგრამ უადრეს,
უწინარეს,
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი.

ნექტრით ის მწვავდა,
მწარე მისგან ვამწარებია,
მის ცის ქვეშ
ემობაც
ჩემთვის იყო ალამდარობა;
მე უკვდავება
მამულს ვარეთ არ მწამებია,
არ მიძებნია
მამულს ვარეთ მამამთავრობა.
თუ ღირს ვარ მისი,
მისთა სერთა,
მისთა ტეკ-ველთა,
მისი სიმაღლის,
მისი სიღრმის,
მისი ვაერცობის -
გულიც და სუნთქვაც,
ველა ნიჭი
ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე
საქართველოს
საკურთხეველთან.

იქ მივეც მამულს,
შემოქმედო,
შენის ვახვებით,
რაც მოვიხვეჭე,
რაც დავკარგე,
რაც ვახვიცადე;
იქ ჩაიბარე
საქართველოს მართალ მიწაზე
ის ჩემი სუნთქვაც,
ჩემი ცრემლიც,
ჩემი ჭანგებიც.
შემინდე შენ შვილს,
თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე.
მაგრამ ვარ ცოცხალ
იმავ სუნთქვით,
იმავ ნაღველით,
კვლავ მიწა ჩემი
შეკავედრო
ცრემლით მდაგველით,
ამად აღვიძარ,
ამად მოველ ბალესტინაშიც.

საეკლესიო კალენდარი

1 ივლისი (ოთხშ.)	—	ხსენება ღირ. მიქაელ ულუმბოელისა (VI ს.).
4 ივლისი (შაბ.)	—	ხსენება წმ. დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილისა (744 წ.) და ლუარსაბისა (1622 წ.).
7 ივლისი (სამშ.)	—	შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი.
10 ივლისი (პარ.)	—	ხსენება ღირ. გიორგი მთაწმინდელისა (1065 წ.) და მღვდელმოწამე კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1918 წ.).
12 ივლისი (კვ.)	—	პეტრე-პავლობა.
13 ივლისი (ორშ.)	—	დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრება — სვეტიცხოვლობა.
15 ივლისი (ოთხშ.)	—	დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას (V ს.).
16 ივლისი (ხუთშ.)	—	ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფ. გერგეტში.
17 ივლისი (პარ.)	—	ხსენება წმ. ანდრიასი, კრეტელი მთავარეპისკოპოსისა, სინანულის „დიდი კანონის“ შემქმნელისა (712÷726 წ.).
18 ივლისი (შაბ.)	—	ხსენება ღირ. ათანასე ათონელისა (1000 წ.).
23 ივლისი (ხუთშ.)	—	ხსენება ორმოცდახუთთა მოწამეთა, ნიკოპოლისში წამებულთა.
25 ივლისი (შაბ.)	—	ხსენება ღირსთა მამათა ჩვენთა ათონელთა — იოანესი, (ექვთიმეს მამისა) და გაბრიელისა (X ს.).
26 ივლისი (კვ.)	—	კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა.
28 ივლისი (სამშ.)	—	ხსენება მოწ. კვირიკესი და ივლიტასი (დაახლ. 305 წ.).
30 ივლისი (ხუთშ.)	—	ხსენება დიდმოწამე მარინესი (IV ს.).

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

— რომელია უფრო აღმატებული — საეკლესიო ღვთისმსახურებაზე დასწრება თუ შინ აღსრულებული პირადი ლოცვები?

— წმ. ანტონი ოპტინელი გვასწავლის: ხილული წმიდა ეკლესიის გარეშე არ იქნებოდა ქრისტეს წმიდა საიდუმლო, ურომლისოდაც ადამიანი ვერ დაიმკვიდრებს საუკუნო ცხოვრებას. საეკლესიო ლოცვას ისეთი ძალა და მნიშვნელობა აქვს, რომ ეკლესიაში წარმოთქმული ერთი „უფალო შეგვიწყალენ“ აღემატება პირად ან სენაკში აღსრულებულ ყველა სულიერ ვარჯიშს, სწორედ ამიტომ წმიდა მამები ეკლესიაში იდგნენ ისე, როგორც უფლის წმიდა ტახტის წინ წარდგომილნი.

— რისთვის მოგვეცა ღვინო?

— წმ. იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს: ღვინო იმისთვის მოგვეცა, რომ ვიხაროთ და არა იმისთვის, რომ უმსგავსოდ მოვიქცეთ, იმისთვის, რომ ვიცინოთ და არა იმისთვის, რომ დაგვცინონ, ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და არა სულის მოსაუძლურებლად.

(გაგრძელება მე-10 გვ.)



ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

— როგორ შეიძლება შევეწიოთ მიცვალებულთა სულებს?

— წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, სარწმუნოებით უნდა აღვასრულებდეთ ხსენებას შესვენებულთათვის და ამგვარად ნუგეშს ვცემდეთ ჩვენს მიცვალებულებს. უწესო გლოვის, უსარგებლო ცრემლებისა და სამარეთა შემკობის ნაცვლად მათთვის საღმრთო წირვას, ლოცვასა და მოწყალების გაცემას უნდა აღვასრულებდეთ, რათა ისინიც და ჩვენც ღირს ვიქნეთ საუკუნო ცხოვრების დამკვიდრებად, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მადლითა და კაცთმოყვარებით. ეს არის ქრისტიანთა წესი, ღვთისთვის სათნო შესაწირავი, მიცვალებულთა შესაწევნელი და ჩვენთვის დიდად სასარგებლო.

— როგორია სახე საკუთარი მოძღვრისადმი მორჩილი, ჭეშმარიტი სულიერი შვილისა?

— წმ. მოსე ოპტინელი გვმოძღვრავს: მართალ ცხვარს არა აქვს რქები, იგი არ ეწინააღმდეგება საკუთარ მწყემსს, არ დრტვინავს, არ ხტუნავს და არ იკბინება. მწყემსს არ უბრაზდება, თუმცა ისჯება კიდეც მისგან, სიტყვას არ უბრუნებს, არ ჩხუბობს და არავის ეუბნება აუგს. ყველაფერში ეთანხმება. მის თვალწინ კეთილსაიმედოდ დადის და საზღვრებს არ სცილდება, უცხო ხმებს ყურს არ უგდებს და არც უცხოებში დაიარება. თავის მწყემსს ისე უსმენს, რომ არავითარი წინასწარი განსჯა არა აქვს, თუმცა, მწირ, ჭაობიან ადგილზე აძოვებენ, არ ილანძღება და არ ჩივის მასზე.

— რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხონებისათვის ადგილსამყოფელს?

— წმ. ეფრემ ასურელი შეგვაგონებს: ადგილსამყოფელი კი არ აცხოვნებს კაცს, არამედ საკუთარი კეთილი ნება. ადამი, ჩვენი პირველმშობელი, სამოთხეშიც დაეცა ცოდვით, მართალმა ლოთმა კი სოდომშიც შეინარჩუნა კეთილმსახურება.

— შეიძლება თუ არა საუბარი მაშინ, როდესაც ღვთისმსახურება მიმდინარეობს?

— კვლავ ეფრემ ასურელის შეგონებით: აბა, წარმოიდგინე, რა საქციელი იქნება, მავანი ხელმწიფეს ესაუბრებოდეს, ამ დროს კი ვიღაც მონამ დაუძახოს, მან მეფეს ზურგი შეაქციოს და იმ მონასთან დაიწყოს ლაპარაკი! აი, ზუსტად ამგვარად იქცევა ის ადამიანიც, ვინც ღვთისმსახურების აღსრულებისას მავანთან საუბრობს, სხვა რამეზე ფიქრობს და საერთოდ გონებაგაფანტულია.

— როგორ მოვეპყროთ მათ, ვინც ბოროტს იტყვის ჩემზე?

— წმ. ანტონი დიდი შეგვაგონებს: ბრძენი იყავ და მდუმარებით დაუყავ პირი იმათ, ვინც ბოროტს იტყვის შენზე. არ განურისხდე მათ და არ აგინო.

— რას ნიშნავს სახარებისეული სიტყვები: „იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი“ (მათ. 10, 16)?

— წმ. ამბროსი ოპტინელი გვასწავლის: გველი, როცა თავისი ძველი ტყავის გამოცვლის ჟამი დაუდგება, ძალიან ვიწრო ადგილას გაივლის და ამგვარად მოხერხებულად იშორებს ძველ სამოსს. ასევე თავისი სიძველის განძარცვის მსურველი ადამიანი, სახარებისეული მცნებების აღსრულების ვიწრო გზით უნდა ვიდოდეს. ყოველგვარი თავდასხმის დროს გველი ცდილობს თავი გადაირჩინოს. ადამიანიც ყველაზე მეტად საკუთარ სარწმუნოებას უნდა გაუფრთხილდეს, რადგანაც, ვიდრე რწმენა შენარჩუნებულია, კიდევ შეიძლება ყოველივეს გამოსწორება.

— როგორ ეხმარება ადამიანს სულის ცხონებაში სიმდაბლე?

— წმ. თეოფანე დაყუდებულის შეგონებით, იყვნენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სიმდაბლით ცხონდნენ, სხვა ღვაწლი მათ არ ჰქონიათ, სიმდაბლის გარეშე კი ჯერ არავინ ცხონებულა და ვერც ცხონდება.

— რა სარგებელი მოაქვს ჩვენთვის კეთილმსახური ადამიანების გვერდით ყოფნას?

— წმ. ანტონი დიდი გვასწავლის: ნელსაცხებელთა და კეთილსურნელებათა გამყიდველთან მისული ადამიანი თვითონაც კეთილსურნელებით აღივსება. ასევე, კეთილმსახური ადამიანების გვერდით მყოფი ზოგჯერ შეუმჩნევლადაც ეჩვევა მათი სათნოებების მიბაძვას.

— რა მიზანი აქვს ჩვენს, ქრისტიანთა, ცხოვრებას?

— წმ. სერაფიმე საროველი შეგვაგონებს: ქრისტიანთა ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი არის მოხვეჭა ღმრთის წმიდა სულისა. ხოლო ლოცვა, მღვიძარება, მარხვა, მოწყალება და ქრისტესთვის ქმნილი სხვა ქველის საქმეები მხოლოდ საშუალებებია სულიწმიდის მოხვეჭისა.

— სათნოებათაგან ყველაზე მეტად რომელი გვანიჭებს სულიწმიდის მადლს?

— წმ. სერაფიმე საროველის სწავლებით: ცხადია, ყოველი სათნოება, ქრისტესთვის ქმნილი გვაძლევს მადლსა სულისა წმიდისასა, მაგრამ სათნოებათაგან ყველაზე უფრო მეტად ლოცვაა მისი მომატყუებელი, რადგან იგი მუდამ ჩვენს ხელშია, როგორც იარაღი, მომპოვებელი მადლისა საღმრთოსა სულისა.

ქვაშვეთის წმ. გიორგის
სახელობის ტაძრის
წინამძღვარი, თბილისის
სასულიერო აკადემიისა და
სემინარიის ლექტორი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

სულის საგალობელი

რიწის ცქა

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. #37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი